შ.პ.ს "Next Point Co."

LTD "Next Point Co."

4/14/2017 წ.

გეოლოგიური სამუშაოების შეფასება

ქ.თბილისი, დასახლება ვარკეთილი, II მკ/რ. კორპუსი 11ა, მიმდებარედ ნაკვეთი 03/057, საკადასტრო კოდი №01.19.20.003.057 არსებულ მიწის ნაკვეთის ფართზე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის კორექტირებისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური ნაწილის საექსპერტო შეფასება.

თბილისი

2017 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა დასახლება ვარკეთილი, II მკ/რ. კორპუსი 11ა, მიმდებარედ ნაკვეთი 03/057 (საკ. კოდით № 01.19.20.003.057) დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა არსებულ მიწის ნაკვეთზე გამოკვლეული და შესწავლილი გეოლოგიური ნაწილის შესაფასებლად. კვლევის მიზანია შესწავლილ იქნას გეოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებისა და მოცემული ლაბორატორიული კვლევის შედეგების სისწორე.

წარმოდგენილი გეოლოგიური ნაწილის კვლევა

პირველ რიგში შევისწავლილ იქნა ინჟინერ-გეოლოგი ი. ცხომელიძის მიერ ჩატარებული გეოლოგიური სამუშაოები, რომელიც წარმოდგენილია კვლევაში. წარმოდგენილი გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ ტერიტორიაზე ნაყარი გრუნტი (1.2-1.8 მ) შემდგომ გვხდება თიხნარი -pdQIV გრუნტი მოყვითალო-ყავისფერი, თაბაშირის შემცველობით 40 %-მდე, მყარი კონსისტენციის.გავრცელებულია ნაყარი ფენის შემდეგ, 1.2-1.8 მ-ის სიღრმიდან. რაც მოცემულ პროექტთან მიმართებაში მისაღები და საანგარიშოდ დამაკმაყოფილებელია (ფენა №2). წარმოდგენილი გარემო-ფაქტორებით გეოლოგიური კვლევის შედეგად განსაზღვრულია კორპუსის ფუნდამენტი მონოლითური გაძლიერებული რკინა-ბეტონის ფილა, რომელიც იკვრება ფარული კოჭებით. რის საფუძველზეც მოცემულ ანგარიშებში და ფიკური-მექნაიკურ მახასიათებლებში გეოლოგიური კვლევის შედეგად განისაზღვრა №2 ფენა, შენობის კონსტრუქციული ჩაღრმავებისა და სართულიანობის შედეგად. აღნიშნული კორპუსი საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სეისმურად I (მარტივი) სირთულისაა. გამოკვლეული სინჯებისა და გეოლოგიური პირობების მიხედვით მოცემული სამუშაოები ჩატარებულია ჯეროვნად ლაბორატორიული ანალიზებისა და ჩრილების შედეგად.

მოცემული გეოლოგიური პირობები სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ მასზე დაყრდნობით დაგეგმარებული კორპუსის საძირკვლები და ერთიანი კონსტრუქციული სქემა იქნას დაცული სამშენებლო ნორმებთან მიმართებაში.

გეოლოგიური მონაცემების მიხედვით აღნიშნულ უბანზე გავრცელებულია ძირითადად თიხნარი , ხრეშოვანი გრუნტი და ქვიშებისა და არგილიტების მორიგეობის წარმოშობის ქანები, ხოლო ფენა №2 მოყვითალო-ყავისფერი თიხნარის ქანებითაა დაკომპლექტებული, რაც შეესაბამება სინამდვილეს და მოცემული კოეფიციენტები აღებულია მართებულად. წარმოდგენილი გეოლოგიური კვლევის შედეგები შეესაბამება ნორმებს და სამუშაოები განხორციელებულია სრულიად მართებულად კონსტრუქციულ მოთხოვნებთან მიმართებაში.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით მოცემული პროექტის დასაძირკვლება განხორციელდეს 3 ფენაზე მონოლითური რკინა-ბეტონის გაძლიერებული ფილით, სადაც დასაშვები გეოლოგიური პარამეტრები სრულად არის ათვისებული და დამუშავებული. გეოლოგიური პირობების მიხედვით მოცემული კოეფიციენტები სრულიად არის შესწავლილი და გამოკვლეული რასაც ვეთანხმებით და გადასტურებთ გამოკვლეული შედეგების მიხედვით.

დასკვნა

ჩემს მიერ შესწავლილი ინჟინერ-გეოლოგის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სადაც განხილულ იქნა გეოლოგიური მონაცემები, შესრულებულია ჯეროვნად და აკმაყოფილებს წარმოდგენილ მდგომარეობას, რომელიც შესრულებულია ადგილზე აღებული სინჯების საფუძველზე. აქედან გამომდინარე გეოლოგიური მონაცემები და მასში მოცემული საანგარიშო კოეფიციენტები საკმარისად დამაკმაყოფილებელია.

დირექტორი: თორნიკე გოგოძე

ინჟინერ-გეოლოგი: ალექსანდრე ყურაშვილი

